ბინა/სახლის რემონტის, ავეჯის და ტექნიკის დაზღვევის პირობები

N APRO-003/23 Property Retail N3 სტანდარტული ვორდინგი 2023 წელი

N APRO-003/23 Property Retail N3 სტანდარტული ვორდინგი 2023 წელი

ბინა/სახლის რემონტის, ავეჯის და ტექნიკის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **მზღვეველი** – სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“.

1.2. **დამზღვევი** – სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული პირი, რომელიც ავსებს შესაბამის დაზღვევის განაცხადს, რომელთანაც უშუალოდ ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და, რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის გადახდა. დამზღვევი აუცილებლად უნდა იყოს ქონების მესაკუთრე

1.3. **მოსარგებლე** – დამზღვევის მიერ დასახელებული და სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე.

1.4. **მესაკუთრე** - დაზღვეული ქონების რეგისტრირებული მესაკუთრე.

1.5. **მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, გარდა:

- დამზღვევის, მოსარგებლის და მათი ოჯახის წევრებისა;
- მდგმურებისა (მდგმურად ჩაითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც დაზღვეულ ბინაში/სახლში ცხოვრობს დროებით, მიუხედავად იმისა დამზღვევს უხდის თუ არა რაიმე სახის საფასურს);
- ფიზიკური პირებისა, რომლებიც დაქირავებული არიან დაზღვეულ ბინაში/სახლში დაცვის, დასუფთავების, სარემონტო სამუშაოების ჩატარების ან სხვა მომსახურების გაწევის მიზნით.

1.6. **ოჯახის წევრი** - პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მესაკუთრესთან / მოსარგებლესთან ერთად (მეუღლე, შვილ(ებ)ი ან სხვა ფიზიკური პირი, გარდა მდგურებისა).

1.7. **სადაზღვევო პოლისი (შემდგომში – პოლისი)** –დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც მოსარგებლეს უფლებას აძლევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.8. **დაზღვევის პერიოდი** – პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ძალაშია დაზღვევა.

1.9. **დაზღვევის განაცხადი** - მზღვეველის მიერ გაკეთებულ ფორმაში და დამზღვევის მიერ დადასტურებული ბინის/სახლის დაზღვევის მოთხოვნა, რომელიც შესაძლებელია იყოს მეილზე გამოგზავნილი ინფორმაცია ან პორტალზე შევსებული მონაცემები და ა.შ. რაზეც დამატებით შეიძლება შეთანხმდნენ მხარეები.

1.10. **სადაზღვევო ლიმიტი** – პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

1.11. **დაზღვევის ობიექტი** - მესაკუთრის ქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული საცხოვრებელი ბინის რემონტის, ავეჯის, ტექნიკისთვის სადაზღვევო რისკებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან.

1.12. **სადაზღვევო შემთხვევა** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო რისკის შედეგად გამოწვეული ზიანი, რომელიც იფარება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად და რომელიც წარმოშობს მზღვეველის პასუხისმგებლობას გადაუხადოს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება.

1.13. **სადაზღვევო ანაზღაურება** – თანხა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად;

1.14. **სადაზღვევო ხელშეკრულება** - პოლისის, განაცხადის, ამ პირობების, და მნიშნელოვანი პირობების ერთობლიობა.

1.15. **ფრანშიზა** – არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოქვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.16. **დაზღვევის მოქმედების არეალი** – სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი, სადაც განთავსებულია დაზღვეული ქონება

1.17. **შიდა მოპირკეთება** - კარ-ფანჯარა, შიდა კიბეები, იატაკისა და ჭერის საფარი, გისოსები, გალავანი; ყველა სახის სალესი და სამღებრო სამუშაოები; კედლების მოპირკეთება.

1.18. **საინჟინრო მოწყობილობები** - ელექტროგაყვანილობა (კაბელები, ელექტრონული მრიცხველები), საკომუნიკაციო საშუალებები (სატელევიზიო, სატელეფონო და კომპიუტერის კაბელები); წყლის, საკანალიზაციო, კონდიცირების და გათბობის სისტემები;

1.19. **ზიანის დადგომის შესახებ განცხადება (მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით)** – დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გაკეთებული წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.

1.20. **რეგულირების აქტი** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აღიარებას და წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

1.21. **დაზღვევის პირობები** – წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის შინაარსს და მისი განხორციელების წესებს.

1.22. **ბინა** - მრავალსართულიან სახლებში საცხოვრებელი ბინა.

1.23. **სახლი** - საცხოვრებელი ფართი, გარდა მრავალსართულიან სახლში არსებული ბინისა.

1.24. **რეალური ღირებულება** – ქონების ან სამუშაოების საბაზრო ფასი სადაზღვევო შემთხვევის მომენტში.

1.25. **მეზობლის ბინიდან წყლის ჩამოსვლა** - წყლის ჩამოსვლა ზედა/გვერდითა მეზობელი ფართებიდან.

1.26. **დატბორვა** - წყლით დაზიანება, რომელიც გამოწვეულია: გათბობის სისტემის დაზიანებით; კანალიზაციის მწყობრიდან გამოსვლით; წყალგაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლით.

1.27. **უხვთოვლიანობა** - თოვლის სიმძიმით გამოწვეული ზიანი;

1.28. **წყალდიდობა** - წყლის დონის უეცარი მატება, განპირობებული ძლიერი/კოკისპირული/თავსხმა წვიმებით ან თოვლის ინტენსიური დნობით, რომელიც იწვევს მატერიალურ ზარალს და არღვევს ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს;

1.29. **სეტყვა** - ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის სფერული ნაწილაკების, ან ნატეხებისაგან.

1.30. მიწისძვრა - ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის რხევა, რის შედეგადაც დაზღვეულ ქონებას მიადგა ზიანი.

1.31. ქარიშხალი (25 მ/წმ-ზე მეტი), შტორმი - ძალიან ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე მიწის ზედაპირთან 25 მ/წ აღემატება და ზღვაზე დიდ ღელვას იწვევს, ხმელეთზე კი შენობა-ნაგებობათა დაზიანებას ან ნგრევას.

1.32. ხანძარი – ღია ცეცხლი, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა ცეცხლისათვის განკუთვნილი ადგილიდან განსხვავებულ ადგილას ან თვითნებურად გასცდა ამ ადგილს.

1.33. აფეთქება - აფეთქება საყოფაცხოვრებო საინჟინრო სისტემიდან აირის გამოჟონვით ან სისტემაში გაზის წნევის მომატების შედეგად;

1.34. მეხის დაცემა - გიგანტური ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი.

1.35. კვამლით დაზიანება - ხანძრის შედეგად წარმოქმნილი კვამლის შედეგად დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება.

2. დაზღვევის საგანი, სადაზღვევო რისკები, ზოგადი დებულებები

2.1. ქონების დაზღვევა

2.1.1. წინამდებარე დაზღვევის პირობების საფუძველზე დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის მიერ პოლისში მითითებულ მისამართზე მდებარე შიდა მოპირკეთების, საინჟინრო მოწყობილობის, ავეჯის და ტექნიკის დაზღვევა ქვემოთ მითითებული რისკებისგან:

2.1.1.1. მეზობლის ბინიდან წყლის ჩამოსვლა;

2.1.1.2. დატბორვა,

2.1.1.3. უხვთოვლიანობა, წყალდიდობა, სეტყვა, ქარიშხალი (25 მ/წმ-ზე მეტი), მეხის დაცემა, შტორმი;

2.1.1.4. ხანძარი, აფეთქება;

2.1.1.5. დაზიანება კვამლით, რომელიც შედეგად მოჰყვა ხანძარს;

2.1.1.6. სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ პოლისში მითითებულ მისამართზე. დაზღვეული ქონების სხვა მისამართზე გადატანის დროს სადაზღვევო დაფარვა არ იმოქმედებს.

2.1.2. დაზღვევას არ ექვემდებარება: შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები; გარე მოპირკეთება, გარე საინჟინრო მოწყობილობები, ანტიკვარიატი;

2.2. მესამე პირის (მეზობლის) წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - წინამდებარე დაზღვევის პირობების საფუძველზე დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს მესაკუთრის ქონებრივი ინტერესი აანაზღაუროს დაზღვევის მოქმედების პერიოდში მესამე პირისთვის დატბორვით, ხანძრით ან აფეთქებით მიყენებული ზიანი, გამოწვეული არაგანზრახი, მცდარი, გაუფრთხილებელი ან დაუდევარი ქმედებ(ებ)ით.

3. სადაზღვევო ლიმიტი, სადაზღვევო პრემია, ფრანშიზა

3.1. სადაზღვევო ლიმიტი წარმოადგენს მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ მოცულობას და იგი დაფიქსირებულია სადაზღვევო პოლისში.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის "დამზღვევი" "მზღვეველს" უხდის შესაბამის "სადაზღვევო პრემიას", რომლის ოდენობა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით.

3.3. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების გზით. უნაღდო ანგარიშსწორებისას დანიშნულებაში უნდა იქნას მითითებული სადაზღვევო პოლისის ნომერი ან დამზღვევის პირადი ნომერი.

3.4. მხარეები შესაბამის სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით თანხმდებიან, რომ მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში, პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (აქ იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა), დამზღვევს დამატებით აქვს ორკვირიანი ვადა გადახდის შესასრულებლად. ამასთან, თუ პრემია არ იქნება გადახდილი, პოლისში მითითებული გადახდის თარიღის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე (ოცდამეათე კალენდარული დღის 24 საათზე), მზღვეველის მიერ ცალმხრივად შეწყდება სადაზღვევო ხელშეკრულება/პოლისი და წინამდებარე ქვეპუნქტში ზემოთ ნახსენები დამატებითი ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

3.5. ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის და მითითებულია სადაზღვევო პოლისში. „მზღვეველის" მიერ ყოველი ზარალი ანაზღაურდება ფრანშიზის თანხის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ძირითადი გამონაკლისები

4.1. სადაზღვევო შემთხვევად არ ჩაითვლება და არ ანაზღაურდება ზიანი (ზარალი) გამოწვეული შემდეგი გარემოებებით:

4.1.1. უძრავი ქონება, რომელიც აშენებულია 1955 წლამდე;

4.1.2. მოძრავი ქონება, რომელიც ამორტიზირებულია.

4.1.3. ზარალი, რომელიც წარმოიქმნება დაზღვეული ქონების ცეცხლით დამუშავებისას, სითბური ან სხვაგვარი თერმული ზემოქმედების შედეგად, ქონების ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე თვითაალების შედეგად.

4.1.4. ზარალი, რომელიც შედეგად მოჰყვა ომს, საომარ მოქმედებას, რევოლუციას, აჯანყებას, სამოქალაქო მღელვარებას, გაფიცვას, ლოკაუტს, ტერორისტულ აქტს;

4.1.5. ზარალი, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესების შედეგად: ცვეთა, კოროზია, ეროზია, ჟანგვა, ნალექების დაგროვება, დანესტიანება;

4.1.6. ზარალი გამოწვეული მესაკუთრის/დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის პროფესიული საქმიანობით;

4.1.7. ზარალი ან დაზიანება გამოწვეული ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი მესაკუთრის/დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის ქმედებით;

4.1.8. ზარალი გამოწვეული კარების, ფანჯრების ან სახურავის ფანჯრების ღიად დატოვების გამო;

4.1.9. სადაზღვევო შემთხვევის პროვოცირება, ინსცენირება გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა;

4.1.10. ზარალი, რომელიც გამოწვეულია სადრენაჟო სისტემების არასწორი გამოყენებით;

4.1.11. ზარალი, რომელიც გამოიწვიეს შინაურმა ცხოველებმა/ფრინველებმა, ქვეწარმავლებმა, მწერებმა, მღრღნელებმა ან სხვა მავნებლებმა ან დადგა შემდგომში, მათი ზემოქმედების შედეგად;

4.1.12. ზარალი, რომელიც დადგა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე; ან გამოწვეულია მოვლენით, რომელიც მოხდა სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე;

4.1.13. ზარალი, რომელიც გამოწვეული იქნება დაზღვეულ ქონებაში სარემონტო სამუშაოების ან სხვა სახის შეკეთებითი სამუშაოების შედეგად;

4.1.14. ზარალი, თუ უძრავი ქონების რემონტის დაზღვევის შესახებ განცხადების შევსების მომენტში მოქალაქის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას.

4.1.15. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

4.1.16. ზარალი/პასუხისმგებლობა გამოწვეული დამზღვევის/ მესაკუთრის/ მოსარგებლის ან მათი ოჯახის წევრების მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით.

4.2. მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით არ ანაზღაურდება მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობა თუ:

4.2.1. წარმოქმნილია იმ ქონების დაზიანებით ან განადგურებით, რომელიც დამზღვევის/მოსარგებლის მიერ იჯარით არის აღებული ან იმყოფება დამზღვევის/მოსარგებლის კონტროლის ქვეშ ან მისი ნათესავების მფლობელობაში.

4.2.2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკისრებულია რაიმე ხელშეკრულების შესაბამისად ან საჯარიმო სანქციების სახით.

4.2.3. დამზღვევმა/მოსარგებლემ განზრახ გამოიწვია მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დადგომა.

4.3. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე:

- **4.3.1.** „დამზღვევის“ ან/და „მოსარგებლის“ მიერ წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
- **4.3.2.** თუ დამზღვევი/მოსარგებლე არ შეუწყობს ხელს სადაზღვევო შემთხვევის მოკვლევა-შეფასებაში, მათ შორის გამონაკლისების არსებობის დადასტურება-გამორიცხვაში;
- **4.3.3.** „დამზღვევის/მოსარგებლის“ მიერ ან „დამზღვევის/მოსარგებლის“ მონაწილეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის ან/და ანაზღაურების მიღებისთვის აუცილებელი დოკუმენტების/ინფორმაციის გაყალბების, ასევე არასწორი/მცდარი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში.

4.4. დაზღვეული ქონების ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებით გადაცემა, აგეთვე დაზღვეული ქონების სასწავლო, კვლევითი ან სპორტული მიზნებით გამოყენება მზღვეველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე;

4.5. თოვლის სიმძიმით გამოწვეული ზიანი თუ დამზღვევი ან მოსარგებლე არ მიიღებს შესაბამის ზომებს დროულად გაწმინდოს დაზღვეული ქონება თოვლისა და ყინულისგან;

4.6. ზიანი, რომელიც გამოწვეულია სამშენებლო, საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტით, ცუდი კონსტრუქციით, უხარისხო მასალებით ან შესრულებული სამუშაოთი, შეუსაბამო ან/და არასწორი არქიტექტურით ან/და პროექტირებით.

5. სადაზღვევო ანაზღაურება

5.1. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლა ხდება პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში და წინამდებარე პირობებით ავეჯისთვის და ტექნიკისთვის ანაზღაურების ლიმიტების გათვალისწინებით.

5.2. სადაზღვევო ანაზღაურება მოხდება პროპორციულობის პრინციპის გამოყენების გარეშე;

5.3. არცერთ შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ლიმიტს სადაზღვევო შემთხვევათა სიმრავლისა და სიდიდის მიუხედავად.სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საფუძველია:

5.3.1. ქონების დაზიანების შემთხვევაში – ქონების დაზიანებული ნაწილის შეკეთების/აღდგენის/გაწმენდის რეალური ღირებულება ფრანშიზის გათვალისწინებით, არაუმეტეს სადაზღვევო ლიმიტისა.

5.3.2. შეკეთების/აღდგენის ხარჯები გულისხმობს:

5.3.2.1. შეკეთების/აღდგენისათვის აუცილებელი მასალების და სათადარიგო ნაწილების რეალურ ღირებულებას;

5.3.2.2. შესაკეთებლად/აღსადგენად გასაწევი სამუშაოების ხარჯებს;

5.3.2.3. სხვა ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად.

5.4. არცერთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ მოიცავს ქონების დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯებს.

5.5. ქონების შეკეთების/აღდგენის ხარჯებში არ ჩაითვლება:

5.5.1. ქონების საგარანტიო მომსახურების ღირებულება;

5.5.2. პროფილაქტიკურ რემონტზე და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები.

5.5.3. ქონების რეკონსტრუქციის, რემონტის (თუ რემონტის აუცილებლობა გამოწვეული არ არის სადაზღვევო შემთხვევით) ხარჯები.

5.5.4. დამატებითი ზარალი, პირველადი დაზიანების დროულად აღმოუფხვრელობის შედეგად.

5.5.5. ხარჯები, რომლებიც აღემატება საჭიროებას ან რომელთა გაწევაც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისგან დამოუკიდებლად;

5.5.6. ფარული დეფექტების აღმოფხვრის ხარჯები.

5.6. ზარალის ოდენობას ადგენს მზღვევლი. ამასთან ზარალის ოდენობის დადგენა შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ამ შემთხვევაში, ექსპერტის მომსახურების ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს მისი მომწვევი მხარე.

5.7. მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა ხდება სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში მესამე პირის ქონებისათვის მესაკუთრის ბრალეული ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობიდან, ქონებისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის გამოთვლის პრინციპის დაცვით.

5.8. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება მესამე პირისათვის მატერიალური კომპენსაციის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

5.9. მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე დამზღვევი/მოსარგებლის მიერ მესამე პირისთვის ზიანის ანაზღაურების ან რაიმე სხვა სახის ხარჯების გაწევის, შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან.

5.10. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველია მზღვეველის მიერ შედგენილი ზარალის რეგულირების აქტი (შემდგომში „აქტი"). წინამდებარე ხელშეკრულების, სადაზღვევო პოლისის, დამზღვევის წერილობითი განაცხადის, სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, მზღვეველი იღებს ვალდებულებას შეადგინოს აქტი ან გასცეს მოტივირებული წერილობითი უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე დამზღვევის/მოსარგებლის მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.11. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება მზღვეველის მიერ აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5.12. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დამზღვევმა/მოსარგებლემ სადაზღვევო შემთხვევიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა წარუდგინოს მზღვეველს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს/ორგანოების (სახაძრო სამსახურის, პოლიციის და ა.შ) მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი/დოკუმენტები შემთხვევის დადგომის, მიზეზებისა და გარემოებების შესახებ.

5.13. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისაგან შემთხვევის დადგომის ფაქტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

5.14. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, დამზღვევს/მოსარგებლეს მიყენებული ზარალი აუნაზღაურდა ამ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია დაუბრუნოს მზღვეველს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება, პასუხისმგებელი პირისგან ზარალის ანაზღაურების დღიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის ვადაში.

5.15. თუ შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დამთავრებამდე ან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

5.16. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

5.17. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი ანაზღაურებული თანხით.

6. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს

6.1. „დამზღვევი" ვალდებულია:

6.1.1. შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს" 24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2 640 640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია შემთხვევის დადგომის შესახებ. ასევე, განუხრელად დაიცვას „მზღვეველის" რეკომენდაციები დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით;

6.1.2. შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა), მზღვეველთან სატელეფონო შეტყობინებით - შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ხოლო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

6.1.3. თუ შემთხვევის შედეგად ზიანი მიადგება მესამე პირის ქონებას და ასეთ დაფარვას პოლისი ითვალისწინებს, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის მიერ მზღვეველთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობით განაცხადის სახით წარმოდგენა შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

6.1.4. ზიანის დადგომის ფაქტზე მხოლოდ წერილობითი შეტყობინება არ ჩაითვლება საკმარისად ზიანის დადგომის ფაქტის დაფიქსირებისათვის, თუ დამზღვევი (მისი წარმომადგენელი), ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში არ წარმოადგენს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს, მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა, დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს ასეთი შემაფერხებელი გარემოების შესახებ;

6.1.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, მიაწოდოს „მზღვეველს" შემთხვევასთან დაკავშირებული ცნობები/დოკუმენტები, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებიდან ან ნებისმიერი სხვა უწყებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მზღვეველი" უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე;

6.1.6. ხელი შეუწყოს "მზღვეველს" "სადაზღვევო შემთხვევის" დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში და „მზღვეველის" მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს მას დამატებითი დოკუმენტაცია;

6.2. "მზღვეველი" უფლებამოსილია:

6.2.1. მიიღოს მონაწილეობა ზიანის გამომწვევ მიზეზთა დადგენასა და ზიანის შეფასებაში, ასევე მოითხოვოს დამზღვევის/მოსარგებლის ხელშეწყობა, დაათვალიეროს დაზიანებული ქონება;

6.2.2. მოითხოვოს დამოუკიდებელი, მასთან შეთანხმებული ექსპერტიზის ჩატარება ზიანის ოდენობის გადამოწმების მიზნით;

6.2.3. „დამზღვევთან" დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

7. რისკის ცვლილება

7.1. სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე, განაცხადის ფორმით მიაწოდოს მზღვეველს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის შესახებ. გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელთაც შესაძლოა

მნიშვნელობა ჰქონდეთ რისკის შეფასებისთვის, ასევე ამ ქონებასთან დაკავშრებული ყველა დადებული ან დასადები დაზღვევის/სხვა ხელშეკრულება.

7.2. დაზღვევის მოქმედების განმავლობაში, დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლი წერილობითაცნობოს მზღვეველს ისეთი გარემოებების დადგომის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს რისკის ხარისხზე, მათ შორის დაზღვეული ქონების გაქირავების/იჯარით გაცემის თუ გასხვისების თაობაზე.

7.3. დამზღვევი პასუხისმგებელია განაცხადში მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. არასწორი, არასრული ინფორმაციის მიწიდების შემთხვევაში მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე.

7.4. მზღვეველი უფლებამოსილია რისკის ხარისხის ცვლილების გათვალისწინებით განახორციელოს სადაზღვევო პრემიის ან/და სადაზღვევო პირობების ცვლილება.

7.5. მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისაგან, ხოლო დამზღვევს რჩება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, თუ მზღვეველთან არ იყო მიწოდებული იყო მიწოდებული ზემოხსენებული რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ.

8. ხელშეკრულების და დაზღვევის მოქმედების ვადა. დაზღვევის ტერიტორია

8.1. ხელშეკრულება და დაზღვევა ძალაში შედის სადაზღვევო პოლისში მითითებული თარიღის 24 საათიდან და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე.

8.2. დაზღვევის პოლისი გაიცემა 1 წლის ვადით.

8.3. დაზღვევა ძალაშია მხოლოდ სადაზღვევო პოლისში მითითებულ მისამართზე, სადაც მდებარეობს/განთავსებულია დაზღვეული ქონება და რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვა.

9. ორმაგი დაზღვევა

9.1. თუ დაზღვევის პირობებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, მზღვეველი გადაიხდის ზარალს პროპორციულად. „მზღვეველის“ სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

9.2. დამზღვევი ვალდებულაი შეატყობინოს მზღვეველს ორმაგი დაზღვევის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლება არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი სადაზღვევო ანაზღაურება იქნება გაცემული, დამზღვევი ვალდებული იქნება უკან დაუბრუნოს მზღვეველს ანაზღაურებული თანხა მზღვეველის მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

10. სუბროგაციის უფლება

10.1. "სადაზღვევო ანაზღაურების" გაცემის შემდეგ "მზღვეველზე" ავტომატურად გადადის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც "დამზღვევს"/"მოსარგებლეს" გააჩნია მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

10.2. "დამზღვევი"/"მოსარგებლე" ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს "მზღვეველს" ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს "მზღვეველის"მიერ სუბროგაციის უფლების რეალიზება.

10.3. "დამზღვევის"/"მოსარგებლის" მიერ ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში "მზღვეველს" უფლება აქვს უარი თქვას "სადაზღვევო ანაზღაურების" გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

11. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის წესი და შეწყვეტის შედეგები/ხელშეკრულებაზე უარის თქმა და უარის თქმის შედეგები

11.1. დაზღვევის მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:

11.1.1. თუ ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ დაზღვევის დაფარვასთან მიმართებით);

11.1.2. სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლით;

11.1.3. მხარეთა შეთანხმებით;

11.1.4. ერთი მხარის ინიციატივით ნებისმიერ დროს, მეორე მხარისთვის 10 (ათი) დღით ადრე წერილობითი გაფრთხილების გაგზავნის გზით;

11.1.5. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ;

11.1.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებით სხვა შემთხვევაში;

11.1.7. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

11.2. თუ დაზღვევის პერიოდში არ არის დამდგარი არცერთი სადაზღვევო შემთხვევა, დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული სადაზღვევო პრემია სრულად და ასევე გადაიხადოს გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის ოდენობის 10%, გარდა იმ შემთხვევისა თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი (გარდა იმ შემთხვევისა თუ შეწყვეტა განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით);

11.3. თუ დაზღვევის პერიოდში დამდგარი არის თუნდაც ერთი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია სრულად (როგორც გამომუშავებული, ასევე გამოუმუშავებელი) გარდა იმ შემთხვევისა თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი (გარდა იმ შემთხვევისა თუ შეწყვეტა განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით);

11.4. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება მზღვეველის ინიციატივით (გარდა იმ შემთხვევისა თუ შეწყვეტა განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევით), ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ გამომუშავებული სადაზღვევო პრემია სრულად;

11.5. თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება მზღვეველის ინიციატივით, რაც განპირობებულია დამზღვევის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო, ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია:

11.5.1. თუ დაზღვევის პერიოდში არ არის დამდგარი არცერთი სადაზღვევო შემთხვევა, დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, გადაიხადოს გამომუშავებული პრემია სრულად;

11.5.2. თუ დაზღვევის პერიოდში დამდგარი არის თუნდაც ერთი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად (როგორც გამომუშავებული ასევე გამოუმუშავებელი);

11.6. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი სადაზღვევო პრემიის (გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელის (გარდა პირველი ან/და ერთჯერადი გადახდისა)) გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) დღით, მზღვეველი აჩერებს სადაზღვევო მომსახურებას, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, რა შემთხვევაშიც მოქმედებს წინამდებარე მუხლის 11.5.1. და 11.5.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

11.7. ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში დამზღვევს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ჯარიმისა და საურავის დაკისრების გარეშე, რა შემთხვევაშიც მხარეებს დაუბრუნდებათ ამავე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სარგებელი (სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო ანაზღაურება).

11.8. 11.7. პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) თუკი ხელშეკრულების მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

12. ფორს-მაჟორი

12.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, "მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორული გარემოებების (სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების აქტები და ქმედებები, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელია გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება) შემთხვევაში.

12.2. "მხარე", რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორ სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება "მხარ(ეებ)ის" ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ "მხარეები" უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

12.3. ფორს–მარჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ

13. დავის გადაჭრა, ზიანის ანაზღაურება

13.1. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის ოფიციალურ ვებ–გვერდზე: www.alpha.ge განთავსებული „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვისა და რეგულირების პროცედურის" შესაბამისად. პრეტენზია წარედგინება მზღვეველის ხარისხის მართვისა და მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

13.1.1. წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით, ან სხვა არასტანდარტული განცხადების ფორმით, მზღვეველის მისამართზე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N16. მზღვეველის მიერ პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

13.1.2. წერილობითი (ელექტრონული) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – ask@alpha.ge. მზღვეველის მიერ პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

13.1.3. სატელეფონო ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება შესაძლებელია დაფიქსირდეს მზღვეველის შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +995 322 640 640; მზღვეველის მიერ პასუხის გაცემა ხორციელდება დაუყოვნებლივ, შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო თუ საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, განხილვისა და პასუხის მიწოდების მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

პასუხი ბრუნდება იმავე საკომუნიკაციო არხით, რითაც მოხდა დამზღვევის მიერ უკმაყოფილების/განცხადების დაფიქსირება თუ წინასწარ მხარეები არ შეთანხმდებიან განსხვავებული საკომუნიკაციო არხზე;

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" „დაზღვევის მედიაციის" მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" „დაზღვევის მედიაციის" პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" საწევრო შემოსავლებიდან.

13.3. დამზღვევი ასევე უფლებამოსილია, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: +995 32 223 44 10;

13.4. წინამდებარე პირობების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი დავის ურთიერთშეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

13.5. თითოეული "მხარე" ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. კონფიდენციალურობა

14.1. „მხარეები“ ვალდებულნი არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე „მხარის“ შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

15. პერსონალური მონაცემების დამუშავება

15.1. მზღვეველი დამზღვევისა და მოსარგებლის დამატებითი თანხმობის გარეშე დაამუშავებს დამზღვევის/მოსარგებლის პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნებისათვის:

15.1.1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით;

15.1.2. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი.

15.2. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. მოიპოვოს დამზღვევის/მოსარგებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება კავშირი ჰქონდეს წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ვალდებულებებთან, სადაზღვევო შემთხვევასთან ან/და ზიანის ოდენობასთან, ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან/ორგანიზაციიდან.

15.3. დამზღვევი ადასტურებს, რომ მიღებული აქვს/მოიპოვებს მოსარგებლისგან წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ დამუშავებაზე თანხმობას, რაც ცალსახად გულისხმობს დამზღვევის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაზე თუ მზღვეველს მიადგება ზიანი ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

15.4. დამზღვევი პასუხისმგებელია მის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული ინფორმაციის კანონიერებაზე, მათ შორის მესამე პირის პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების) მიწოდებაზე. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ ყველანაირ თანხმობას, რაც დაკავშირებული იქნება მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის მოიპოვებს დამზღვევი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მზღვეველს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი (მათ შორის შესაბამისი ორგანოს მიერ ჯარიმა) ამ ზიანს/ზარალს სრულად აანაზღაურებს დამზღვევი მზღვეველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

16. ინფორმაციის მიწოდება/მიმოცვლა

16.1. მხარეები თანხმდებიან, რომ **მხარეთა** შორის გაფორმებული **დაზღვევის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ინფორმაციის მიმოცვლა განხორციელდება შემდეგი საშუალების გამოყენებით:

16.1.1. ოფიციალური წერილის/შეტყობინების გაგზავნის გზით – ინფორმაციის მიწოდების ასეთი საშუალების გამოყენების შემთხვევაში **მხარეთა** მიერ შეტყობინების გაგზავნა განხორციელდება **დაზღვევის ხელშეკრულებაში** (პოლისში) მითითებული მისამართების (მხარეთა ფაქტობრივი ან იურიდიული მისამართი) მეშვეობით ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მხარისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე. მზღვეველის მიერ ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება **დამზღვევის** მიერ მიღებულად, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული **მზღვეველისათვის;**

16.1.2. ელექტრონული ფოსტის ან მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით – მხარეები ადასტურებენ, რომ **მზღვეველის** მიერ კომუნიკაციისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას **დამზღვევის** მიერ მითითებული ((**სადაზღვევო პოლისში** მითითებული)ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრონული ფოსტა ან/და მობილური ტელეფონი, რაც გულისხმობს დათქმას, რომ **მზღვეველის** მიერ ამ მისამართზე/ნომერზე გაგზავნილი წერილი/შეტყობინება/მოკლეტექსტური შეტყობინება ჩაითვლება **მზღვეველის** მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად და მას წინამდებარე ხელშეკრულების (პირობების) მიზნებისათვის გააჩნია იგივე იურიდიული ძალა, რაც ექნებოდა მხარის მიერ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას. **მზღვეველის** მიერ შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ;

16.2. მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ მხარის მიერ მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაცია(დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს მხარის მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება და მეორე მხარეს უფლება წარმოეშვება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.

17. სხვა პირობები

17.1. **მხარეთა** შორის გაფორმებულ **დაზღვევის ხელშეკრულებაში** ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს **მხარეთა** მიერ ორმხრივად **ხელმოწერილი შეთანხმების** (ელექტრონული კომუნიკაციის/მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტების/მობილური ტელეფონის მეშვეობით განხორციელებული ორმხრივი დასტურის) შესაბამისად, რომელიც ძალაში შევა **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის/დადასტურების მომენტიდან ან ცვლილების დოკუმენტში/დასტურში მითითებული მომენტიდან, იმის გათვალისწინებით, რომელი თარიღიც უფრო გვიან დგება. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, რომელიც წინამდებარე პირობების შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მხარის მიერ შეტყობინების გაკეთებით;

17.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაცემულ სადაზღვევო პოლისზე მხარეთა შორის ხელმოწერა შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული ფორმით სკანირეული ვერსიების გაცვლით, რომელსაც ექნება ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურად გაფორმებულს.

17.3. **სადაზღვევო ხელშეკრულება,** მასში გათვალისწინებული უფლებებით და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა მემკვიდრეებზე, სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;

17.4. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი **სადაზღვევო ხელშეკრულებით,** მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.5. ამ პირობების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო, ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა **სადაზღვევო ხელშეკრულების** მიზანი. მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

დანართი 1

საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ავეჯის ჩამონათვალი	
ობიექტის დასახელება	ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი (ლარი)
ტელევიზორი	1200
სამეული (ავეჯი)	3000
კომპიუტერი	1000
კედლის კარადა	1500
მაგიდა	1000
დივანი	800
წიგნების თაროები	600
სამზარეულოს კარადა	2500
გაზქურა/გამწოვი	1500
ჭურჭლის სარეცხი მანქანა	1500
მაცივარი	1500
სტაციონალური სარკე	1000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
აუდიო ტექნიკა	1000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
ფოტოაპარატი	700
ლეპტოპი	1000
საძინებლის კარადა	1300
საძინებლის საწოლი	1500
კომბო	800
სარეცხი მანქანა	800
საშხაპე	800
აბაზანის სხვა ინვენტარი	1500 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
ჭაღები და განათების სისტემები	1500 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
ხალიჩები და ფარდები	2000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
მიქსერები/ბლენდერები/მიკროტალღური ღუმელები	1000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
ელექტრო ხორცსაკეპი მანქანები/ყავის აპარატები	1000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
სკამები	1000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 200 ლარი
გათბობის მოწყობილობები (ქვაბი და რადიატორები)	1000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
კონდიციონერი	800
უთო/თმის საშრობი	600 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 300 ლარი
მტვერსასრუტი	500

მაქსიმალური ჯამური ლიმიტი ტექნიკაზე		
პაკეტი მინი	პაკეტი რეგულარი	პაკეტი მაქსი
2,500 ლარი	5,000 ლარი	10,000 ლარი

მაქსიმალური ჯამური ლიმიტი ავეჯზე		
პაკეტი მინი	პაკეტი რეგულარი	პაკეტი მაქსი
2,500 ლარი	5,000 ლარი	10,000 ლარი

ავეჯის და ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში მზღვეველი დაეყრდნობა წინამდებარე დანართში მითითებულ ფასწარმოქმნას, თუმცა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის არ ანაზღაურდება დაზიანებული ტექნიკის/ავეჯის საბაზრო ღირებულებაზე მეტი თანხა.

დეპონირებულია 2023 წლის 05 დეკემბერს
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 231672432

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

N APRO-003/23 (Property Retail N3 სტანდარტული ვორდინგი 2023 წელი)
დაზღვევის პირობებზე

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და ჩამონათვალს ყველა იმ დოკუმენტისა და დანართის შესახებ, რომელიც წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას ან მის ნაწილს, კერძოდ

- **სადაზღვევო პირობები;**
- **სადაზღვევო პოლისი;**
- **განაცხადი;**

დაზღვევის ძირითადი და ამომწურავი პირობები მოცემულია სადაზღვევო პირობებში და ასევე სადაზღვევო პოლისში, რომელიც შედგენილია დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით.

ხელშეკრულების ძირითადი პირობები განთავსებულია მზღვეველის ოფიციალურ ვებ მისამართზე: www.alpha.ge/insurancecontracts

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ გაცნობილია ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ ძირითად პირობებს.

1. **მზღვეველი –** სს სადაზღვევო კომპანია ალფა (ს/კ 204568896)
მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. #16, ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+99532) 2 640 640;

2. **დაზღვევის ხელშეკრულების სახე (სახელწოდება)** –ბინა/სახლის რემონტის, ავეჯის და ტექნიკის დაზღვევის პირობების, პოლისის, განაცხადის და მნიშნელოვანი პირობების ერთობლიობა.

3. **სადაზღვევო რისკები და დაფარვები**
   3.1. წინამდებარე დაზღვევის პირობების საფუძველზე დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის მიერ პოლისში მითითებულ მისამართზე მდებარე შიდა მოპირკეთების, საინჟინრო მოწყობილობის, ავეჯის და ტექნიკის დაზღვევა ქვემოთ მითითებული რისკებისგან:
   3.1.1. მეზობლის ბინიდან წყლის ჩამოსვლა;
   3.1.2. დატბორვა,
   3.1.3. უხვთოვლიანობა, წყალდიდობა, სეტყვა,, ქარიშხალი (25 მ/წმ-ზე მეტი), მეხის დაცემა, შტორმი;
   3.1.4. ხანძარი, აფეთქება;
   3.1.5. დაზიანება კვამლით, რომელიც შედეგად მოჰყვა ხანძარს;
   3.1.6. სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ პოლისში მითითებულ მისამართზე. დაზღვეული ქონების სხვა მისამართზე გადატანის დროს სადაზღვევო დაფარვა არ იმოქმედებს.

3.2. მესამე პირის (მეზობლის) წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - წინამდებარე დაზღვევის პირობების საფუძველზე დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს მესაკუთრის ქონებრივი ინტერესი აანაზღაუროს დაზღვევის მოქმედების პერიოდში მესამე პირისთვის დატბორვით, ხანძრით ან აფეთქებით მიყენებული ზიანი, გამოწვეული არაგანზრახი, მცდარი, გაუფრთხილებელი ან დაუდევარი ქმედებ(ებ)ით.

დაზღვევას არ ექვემდებარება: შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები; გარე მოპირკეთება, გარე საინჟინრო მოწყობილობები, ანტიკვარიატი;

4. დაზღვევის მოქმედების არეალი

სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი, სადაც განთავსებულია დაზღვეული ქონება.

5. სადაზღვევო შენატანი (სადაზღვევო პრემია):

დაზღვევის შესაძენად, დამზღვევმა უნდა გადაიხადოს სადაზღვევო პრემია, მის მიერ შერჩეული და მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, რაც ასახულია სადაზღვევო პოლისში.

6. არანაზღაურებადი მინიმუმი (ფრანშიზა):

დამზღვევის ფინანსური თანამონაწილეობა, რომელიც განსაზღვრულია ფრანშიზის ოდენობით, რომლის ოდენობა შერჩეულია დამზღვევის მიერ და ფიქსირდება სადაზღვევო პოლისში. თითოეული სადაზღვევო შემთხვევაზე გასაცემ ანაზღაურებას დააკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. როგორ ხდება სადაზღვევო პოლისის გააქტიურება?

სადაზღვევო პოლისი აქტიურდება პოლისში მითითებული პერიოდის დასაწყისი დღის 24 საათზე (თუ პოლისში სხვა რამ არ არის მითითებული), თუ პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანი გადახდილია სრულად. დაზღვევის მოქმედების ზუსტი პერიოდი მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

გაითვალისწინეთ: პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შენატანის სრულ გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან (მათ შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების ვალდებულებისგან).

8. სადაზღვევო თანხის ოდენობა და ანაზღაურების ძირითადი პირობა

8.1. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლა ხდება პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში და წინამდებარე პირობებით ავეჯისთვის და ტექნიკისთვის ანაზღაურების ლიმიტების გათვალისწინებით.

8.2. სადაზღვევო ანაზღაურება მოხდება პროპორციულობის პრინციპის გამოყენების გარეშე;

8.3. არცერთ შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ლიმიტს სადაზღვევო შემთხვევათა სიმრავლისა და სიდიდის მიუხედავად. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საფუძველი მითითებულია – ბინა/სახლის რემონტის, ავეჯის და ტექნიკის დაზღვევის პირობების 5.3.1, 5.3.2. ქვეპუნქტებში.

8.4. არცერთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ მოიცავს ქონების დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯებს.

8.5. ანაზღაურების დეტალური პირობები მოცემულია ბინა/სახლის რემონტის, ავეჯის და ტექნიკის დაზღვევის პირობების პირობების მე-5 მუხლში.

9. რამდენ დღეში გაიცემა ასანაზღაურებელი თანხა?

ასანაზღაურებელი თანხის გაცემა მოხდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის ზიანის ოდენობაზე წერილობითი შეთანხმების (დარეგულირების აქტის) ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. დამზღვევის ვალდებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

10.1. შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს“ 24-საათიან საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2 640 640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია შემთხვევის დადგომის შესახებ. ასევე, განუხრელად დაიცვას „მზღვეველის“ რეკომენდაციები დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით;

10.2. შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა), მზღვეველთან სატელეფონო შეტყობინებით - შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ხოლო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

10.3. თუ შემთხვევის შედეგად ზიანი მიადგება მესამე პირის ქონებას და ასეთ დაფარვას პოლისი ითვალისწინებს, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის მიერ მზღვეველთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობით განაცხადის სახით წარმოდგენა შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ

განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

10.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევის მიერ განსახორციელებელი ქმედებების დეტალური აღწერილობა მითითებულია სადაზღვევო პირობების მე-6 მუხლში.

11. ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება და მოუწოდებლობის/არასწორად მოწოდების შედეგები

11.1. დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე, განაცხადის ფორმით მიაწოდოს მზღვეველს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია დაზღვევის ობიექტის შესახებ. გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ქონდეთ რისკის შეფასებისათვის, ასევე, ამ ქონებასთან დაკავშირებული ყველა დადებული ან დასადები დაზღვევის/სხვა ხელშეკრულება;

11.2. მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება „დამზღვევის“/“მოსარგებლის“ მიერ ან „დამზღვევის“/“მოსარგებლის“ მონაწილეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების/ინფორმაციის გაყალბების, ასევე არასწორი/მცდარი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში;

11.3. თუ ხელშეკრულების გაფორმების/სადაზღვევო პოლისის გაცემის შემდეგ აღმოჩნდება, რომ დამზღვევმა მიაწოდა მზღვეველს არასწორი/მცდარი ინფორმაცია, მზღვეველი უფლებამოსილია მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და გააუქმოს სადაზღვევო პოლისი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

11.4 დამზღვევი ვალდებულია აცნობოს მზღვეველს ბინა/სახლის რემონტის, ავეჯისა და ტექნიკის სხვა სადაზღვევო კომპანიაში დაზღვევის შესახებ (ორმაგი დაზღვევის შესახებ), წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისგან.

12. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის წესი და შეწყვეტის შედეგები/ხელშეკრულებაზე უარის თქმა და უარის თქმის შედეგები

12.1. დაზღვევის მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:

12.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

12.1.2. ერთი მხარის ინიციატივით ნებისმიერ დროს, მეორე მხარისთვის 10 დღით ადრე წერილობითი გაფრთხილების გაგზავნის გზით;

12.1.3. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ;

12.1.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებით სხვა შემთხვევაში;

12.1.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

12.2.შეწყვეტის შედეგები:

12.3.თუ სადაზღვევო პერიოდში არ არის დამდგარი არცერთი სადაზღვევო შემთხვევა, დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემია სრულად და ასევე გადაიხადოს გამოუმუშავებელი პრემიის ოდენობის 10%, გარდა იმ შემთხვევისა თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი (გარდა იმ შემთხვევისა თუ შეწყვეტა განპირობებულია მზღვეველის მიერ ვალდებულების დარღვევით);

12.4.თუ სადაზღვევო პერიოდში დამდგარი არის თუნდაც ერთი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პრემია სრულად (როგორც გამომუშავებული ასევე გამოუმუშავებელი) გარდა იმ შემთხვევისა თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი არის მზღვეველი;

12.5.იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი სადაზღვევო პრემიის (გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელის (გარდა პირველი ან/და ერთჯერადი გადახდისა)) გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) დღით, მზღვეველი აჩერებს სადაზღვევო მომსახურებას, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, რა შემთხვევაშიც მოქმედებს დაზღვევის პირობების მე-11 მუხლის 11.5.1. და 11.5.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

12.6.ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში დამზღვევს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ჯარიმისა და საურავის დაკისრების გარეშე, რა შემთხვევაშიც მხარეებს დაუბრუნდებათ ამავე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სარგებელი (სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო ანაზღაურება).

12.7.12.6. პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) თუკი ხელშეკრულების მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

დეტალური შეწყვეტის პირობები და შედეგები მოცემულია ძირითადი პირობების მე–11 მუხლში.

13. მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის ოფიციალურ ვებ–გვერდზე: www.alpha.ge განთავსებული „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვისა და რეგულირების პროცედურის“ შესაბამისად. პრეტენზია წარედგინება მზღვეველის ხარისხის მართვისა და მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

13.1. წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით, ან სხვა არასტანდარტული განცხადების ფორმით, მზღვეველის მისამართზე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N16. მზღვეველის მიერ თქვენთვის პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

13.2. წერილობითი (ელექტრონული) ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – ask@alpha.ge. მზღვეველის მიერ თქვენთვის პასუხის გაგზავნის მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

13.3. სატელეფონო ფორმით გამოხატული უკმაყოფილება/განცხადება შესაძლებელია დაფიქსირდეს მზღვეველის შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +995 322 640 640; მზღვეველის მიერ პასუხის გაცემა ხორციელდება დაუყოვნებლივ, შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო თუ საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, განხილვისა და პასუხის მიწოდების მაქსიმალური ვადაა განცხადება/უკმაყოფილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;

პასუხი ბრუნდება იმავე საკომუნიკაციო არხით, რითაც მოხდა თქვენგან უკმაყოფილების/განცხადების დაფიქსირება თუ წინასწარ არ ვართ შეთანხმებული განსხვავებული საკომუნიკაციო არხზე;

14. რა არ ანაზღაურდება?

14.1. დამზღვევის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის პირობებში მითითებული გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც მითითებულია მე-4 მუხლში.
14.2.ასევე გამონაკლისების გარდა, ანაზღაურებას არ ექვემდებარება დამდგარი ზიანი შემდეგ შემთხვევებში:
14.2.1 იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადას გადააცილებს 14 (თოთხმეტი) დღით, მზღვეველი აჩერებს სადაზღვევო მომსახურებას, ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება დაზღვევის პერიოდის ამოწურვამდე, თუმცა დავალიანების პერიოდში (14 დღის გასვლის შემდგომ) მომხდარი შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
14.2.2.თუ დამზღვევი არ აცნობებს მზღვეველს ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისგან;
14.2.3.სადაზღვევო პირობებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;
ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოებები, ასევე გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15. მხარეთა შორის კომუნიკაცია და ინფორმაციის მიმოცვლა, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1.მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიმოცვლა განხორციელდება როგორც ოფიციალურ მისამართზე გაგზავნის, ასევე ელექტრონული ფოსტის/მობილური ტელეფონის საშუალებით;

15.2.მხარეთა შორის გაფორმებულ დაზღვევის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა მიერ ორმხრივად ხელმოწერილი შეთანხმების (ელექტრონული კომუნიკაციის/მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტების/მობილური ტელეფონის მეშვეობით განხორციელებული ორმხრივი დასტურის) შესაბამისად, რომელიც ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის/დადასტურების მომენტიდან ან ცვლილების დოკუმენტში/დასტურში მითითებული მომენტიდან, იმის გათვალისწინებით, რომელი თარიღიც უფრო გვიან დგება.

16. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და მისი დაცვა:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიის ცხელ ხაზზე შემომავალი/გამავალი ყველა ზარი იწერება.

თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება დაზღვევის პირობებში მითითებული მიზნებისთვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

17. მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს:

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, აბულაძის ქ. #34
ტელ: +995 32 223 44 10